

ბუნებრივი დიატომიტის, ცეოლიტებისა და პერლიტის ბაზაზე დამზადებულია ახალი კომპოზიციური თბოსაიზოლაციო VIP-ის პანელები. შეაწავლილია მათი მახასიათებლები აღმოჩნდა, რომ სამომხმარებლო ბაზარზე ფართოდ გავრცელებულ თბოსაიზოლაციო მასალებთან შედარებით მათი თვისებები თითქმის ერთი თანრიგითაა უკეთესი. VIP-ის პანელების გამოყენების პერსპექტივებს კიდევ უფრო ზრდის მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა სიმსუბუქე, ეკოლოგიური სისუფთავე, უწყადობა, ცეცხლმედეგობა, და საწყისი ინგრედიენტების დაბალი ღირებულება. სწორედ მათი ასეთი თვისებები გახდა საფუძველი სითბოს აკუმლიატორებში მაღალტემპერატურულ თბოსაიზოლაციო VIP პანელების წარმატებული გამოყენებისა.

დაპროექტდა, დამზადდა და გამოიცადა ფართო ტემპერატურული დიაპაზონის მქონე უჟანგავი ფოლადის სხვადასხვა სისქის სუპერ თბოსაიზოლაციო VIP პანელები.

დაპროექტდა, დამზადდა და გამოიცადა მაღალტემპერატურული დიაპაზონის მქონე უჟანგავი ფოლადის სითბოს აკუმლიატორის ტექნოლოგიური მოდელი. განისაზღვრა პანელებისა და სითბური აკუმლიატორის თბოტექნიკური პარამეტრები. რეალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სამეცნიერო გათვლებისა და გამოკვლევების ბაზაზე შეიქმნა სითბური აკუმლიატორის ოთხი კონცეპტუალური ესკიზური პროექტი. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში წულუკიძის სამთო მექანიკის კვლევით ინსტიტუტთან ერთად განხორციელდა ოთხივე კონცეპტუალური პროექტის რეალურ ზომებში დაპროექტება და წარმოდგენა. სითბური აკუმლიატორების პროექტირებისას შპს „თორის“ ქარხანასთან ერთად გათვალისწინებულ იქნა ფირმის მაღალი კლასის ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა ნიუანსები და ასევე განისაზღვრა დამზადების საორიანტაციო ფასები, რომელიც შემდგომ საჭირო იქნება პოტენციურ დამკვეთებთან შეხვედრისას.